საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ტრისტან ბენაშვილი

ბიულეტენი

კენჭისყრა - 24.04.2025
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს არჩილ კოჭლამაზაშვილის კანდიდატურა?
დიახ არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ტრისტან ბენაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის არჩილ კოჭლამაზაშვილის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულების (ცვლილება იქნა შეტანილი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 31 დეკემბრის N1/163 განკარგულებით) საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 5 თებერვლის N1/14 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა არჩილ კოჭლამაზაშვილი.

კანდიდატების შესახებ კანონით დადგენილი წესით მოძიებული სანდო ინფორმაციის საფუძველზე და მათი საჯარო მოსმენის შედეგად 2025 წლის 14 აპრილს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით შევაფასე პროცედურაში მონაწილე კანდიდატები, მათ შორის არჩილ კოჭლამაზაშვილი, რის შედეგადაც გავაკეთე დასკვნა, რომ არჩილ კოჭლამაზაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისირების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას არჩილ კოჭლამაზაშვილს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული წესის თანახმად, თითოეულ კომპონენტში მივანიჭე შესაბამისი ქულა, რის შედეგადაც მან ჯამში მიიღო მაღალი - 90 ქულა, რაც ორგანული კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 90%-ს შეადგენს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 15 აპრილის N1/37 განკარგულებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 1 კანდიდატი - არჩილ კოჭლამაზაშვილი.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესის თანახმად, 2025 წლის 24 აპრილს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, სადაც გადაწყდა მითითებული კანდიდატის პარლამენტისთვის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენის საკითხი.

კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმის გათვალისწინებით არჩილ კოჭლამაზაშვილი შეკვაფასე სრულად დადებითად და უმაღლესი ქულებით. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხვა წევრებმაც მიიჩნიეს, რომ არჩილ კოჭლამაზაშვილი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რის გამოც მივიღე შემდეგი გადაწყვეტილება - არჩილ კოჭლამაზაშვილი წარედგინოს საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად.

ტრისტან ბენაშვილი

24 აპრილი, 2025 წელი